გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გურამ კორინთელის

2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -85 საკითხის განხილვაში.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა, ასევე ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი.

დავესწარი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 23 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 10 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 59 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- შევხვდი **სოფელ ფლავისმანის** მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ თენაანთ და არჩუაანთ უბანში ასფალტის დაგებას.
- შევხვდი **სოფელ მარანას** მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ ბესტავაანთ უბანში მოხრეშვას და გარე განატების დასრულებას.
- **გორში** ყიფიანის ქუჩა N56-ში მცხოვრებ მოსახლეობასთან მოხდა შეხვედრა, რომლებიც მრავალი წელია უჩივიან კანალიზაციის პრობლემას, გვთხოვენ მის რეაბილიტაციას, რათა მოგვარდეს მრავალი წლის პრობლემა.
- მოხდა შეხვედრა **გორში** N13 საბავშვო ბაღში პედაგოგებთან. ითხოვენ პირველი სართულის რეაბილიტაციას.
- შევხვდი სოფ. ფლავისმანში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ ქვემოთა უბანში გარე განათების მოწყობას - 55 სანათი

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო 2025 წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გურამ კორინთელის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2024 წლის 30 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე

საკრებულოს წევრი: გურამ კორინთელი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ივანე ვარდანაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის გურამ კორინთელის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გურამ კორინთელი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს გურამ კორინთელს , რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გურამ კორინთელმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ივანე კორინთელმა და გელა გიგუაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი: გურამ კორინთელი.